პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 238 (9905) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მადლობაც, იმედიც



**გუშინწინ** გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში თბილისელებმა შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, ქუთაისის „მშენებლის“ რეგბისტთა გუნდს.

— რეგბისტები ნებიერი ხალხი არა ვართ, თუ მოკეთე გამოგვიჩნდა და მოგვეფერა, ხომ კარგი, თუ არა და მოწყურებისაც ვერავინ გვიხილავს. თუმცა, ჩვენი გუნდის წინსვლის კვალდაკვალ ჩვენდამი ყურადღებამაც იმატა და ამიტომაა, რომ ასე ვემადლიერებით საქართველოს სპორტსახკომს, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს, რეგბის რესპუბლიკურ ფედერაციას და მშენებელთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტს. ქუთაისის „მშენებლის“ ბოლოდროინდელი წარმატებების ერთი უმთავრესი პირობათაგანი, ცხადია, ეს ზრუნვაც გახლავთ, რომლის დასტურია თუნდაც ის, რომ მალე ახალსახლობას ვიზეიმებთ — საკუთარი სასწავლო-საწვრთნელი ბაზა გვექნება და პირობას ვიძლევით, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ქართველი გულშემატკივრების წინაშე მომავალშიც პირნათელნი ვიყოთ.

ქუთაისელ რეგბისტთა თავკაცის, გუნდის მთავარი მწვრთნელის დუგლას კავთელაშვილის ამ სიტყვებს დარბაზში შეკრებილებმა, ცხადია, ტაში შეაგებეს, მაგრამ ეს ტაში მარტო საერთო მადლიერების გამომხატველი ჟესტი როდი გახლდათ — აშკარა იყო, თბილისელ სპორტის მოყვარულებს ქუთაისელ რეგბისტთა მომავალ გამარჯვებათა იმედი უფრო „ამოძრავებდათ“. გულიანი ოვაციების მიზეზი, რა თქმა უნდა, ისიც იყო, რომ ქართველ გულშემატკივრებს სანატრელი გაგვიხდა ჩვენი გუნდების წარმატებები სპორტის სათამაშო სახეობებში. სწორედ ამაზე გაამახვილეს ყურადღება საზეიმო შეხვედრაზე სიტყვით გამოსულებმა — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ კალაძემ და მშენებლობისა და სამშენებლო მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ადრიან კოპლატაძემ. ამ შეხვედრის ორგანიზატორები სწორედ ამ კომიტეტის მუშაკები იყვნენ და მათ ქუთაისელი რეგბისტები მორალურად და მატერიალურად საკადრისადაც წაახალისეს.

ამ საღამოს, ცხადია, ნადვილი ახლდა. დარბაზში შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სომხეთში მიწისძვრით დაღუპულთა ხსოვნას. ითქვას ისიც, რომ ქუთაისის „მშენებლის“ ყველა რეგბისტმა 50-50 მანეთი გადარიცხა მოძმეთა დახმარების ფონდში.

ძიუდოში სტუდენტთა

### ძიუდოში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ

## ამირან ტოტიკაშვილი და კობა კურტანიძე

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის მწვრთნელთა საბჭოს სხდომა, რომელმაც დაამტკიცა სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობა. ასპარეზობის მასპინძელთაგან ნაკრებში მოხვდნენ ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ) და კობა კურტანიძე (95). დანარჩენ წონებში გამოვლენ კოსმინინი (65), კანანეროვი (71), იბრაგიმოვი (78), მალცევი (86), შარაპოვი (+95), პიჩეროვი (აბსოლუტური).

როგორც ცნობილი გახდა, თბილისში საასპარეზოდ ჩამოვლენ სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებიც. ცნობილია ისიც, რომ სეულში ტოტიკაშვილის წონაში თამაშების ოქროს მედალი მოიპოვა სამხრეთ კორეელმა კიმ ჩე იუპმ. სეულში ტოტიკაშვილი სწორედ ამ სპორტსმენთან დამარცხდა პირველსავე შეხვედრაში. თუმცა, როგორც ადრე ვწერდით, სპეციალისტების აზრით, მსაჯებმა ტოტიკაშვილს რამდენიმე ქულა დააკლეს. ამ ორი სპორტსმენის დუელი ახლა თბილისში გაგრძელდება.

ჩვენმა მკითხველებმა ისიც იციან, რომ ტრავმის გამო სეულში საასპარეზოდ ვერ გაემგზავრა კობა კურტანიძე. ამჯერად თბილისში მისი მეტოქე სეულის თამაშების ჩემპიონი ბრაზილიელი აურელიო მიგელი იქნება. ასე, რომ ძიუდოს მოყვარულები ჩვენს სპორტის სასახლეში ამ დღეებში მართლაც საინტერესო და პრინციპული ორთაბრძოლების მოწმენი გახდებიან.

ყველას, ვინც რედაქციაში ბილეთების თაობაზე გვირეკავს, ვაცნობებთ, რომ ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება დღიდან, 14 დეკემბრიდან, სპორტის სასახლის სალაროებში.



## დახმარების ფონდში

**სსრ კავშირის** სტუდენტ ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა გუშინ 570 მანეთი შეიტანეს მიწისძვრისაგან დაზარალებული მოძმე სომხეთის მოსახლეობის მატერიალური დახმარების ფონდში.

### ექვსი ლიდერი

**მექსიკის** საკურორტო ქალაქ მატაკლანში მიმდინარეობს პირველი მსოფლიო პირველობის ფინალური ტურნირი „სწრაფ ჭადრაკში“ (30-30 წუთიანი პარტიები). 9 ტურის შემდეგ შეჯიბრებას 6 ლიდერი ჰყავს. მათ შორის არიან მსოფლიოს ექსჩემპიონი და „სწრაფ ჭადრაკში“ ევროპის ჩემპიონი ანატოლი კარპოვი, რაფაელ ვაჰანიანი, ვიქტორ გავრიკოვი და იან ელვესტი (6,5-6,5 ქულა).

### კასპაროვი ამარცხებს საფრანგეთის ნაკრებს

**პარიზი.** აქ მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 6 დაფაზე საფრანგეთის ოლიმპიური ნაკრების წევრებთან და გაიმარჯვა 4,5:1,5.

### დასასრულს უახლოვდება

**ბელგრადში** (იუგოსლავია) დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი — „მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშების შესარჩევი შეჯიბრება. 8 ტურის შემდეგ (ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ტარდება) სხვებთან ერთად ლიდერთა ჯგუფში არიან საბჭოთა მოჭადრაკეები მიხეილ გურევიჩი, ევგენი პიგუსოვი და ლევ ფსახისი.

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ამ სათაურით „ლელოს“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა, რომელიც ეხებოდა კალათბურთში სსრ კავშირის კალენდარული მატჩების ჩატარებასთან დაკავშირებით გულგრილობით გამოწვეულ გაუგებრობებს. კერძოდ, გულშემატკივრებს გაზეთებმა ვერ მიაწოდეს სწორი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელი გუნდი იქნებოდა 11 და 12 დეკემბერს თბილისის „დინამოს“ მეტოქე, სად ჩატარდებოდა ეს ორი მატჩი და რომელ საათზე.

გუშინვე პასუხი მივიღეთ თბილისის სპორტის სასახლის დირექციიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თ. ლომიძე გვწერს:

„რეპლიკაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა სპორტის სასახლის დირექციამ და საკადრისად დაისაჯნენ დამნაშავენი. სპორტული განყოფილების გამგის ლ. კარალიოვას სამსახურებრივი შეუფერებლობის საკითხი დაისვა სპორტის სასახლის ადგილკომის წინაშე.

ამასთან გაცნობებთ, რომ ბრძანება სპორტის სასახლეში მატჩების ჩატარების თაობაზე მივიღეთ დაგვიანებით (9 დეკემბერს), კალენდარში კი, რომლის მიხედვით მზადდება აფიშები, ზუსტად არ იყო მითითებული თბილისის „დინამოს“ მეტოქე გუნდი“.

**რედაქციისაგან:** არგუმენტების ობიექტურობას მკითხველი თავად განსჯის. ჩვენ კი ვკითხულობთ: გულშემატკივარმა რა დააშავა, რატომ არ ვცემთ პატივს სპორტის მოყვარულებს?

### „რატომ არ ვცემთ პატივს გულშემატკივარს?“

### ელვა-ინფორმაცია

გფრ-ის ჩემპიონმა „ვერდერის“ ფეხბურთელთა გუნდმა გამოთქვა სურვილი ამხანაგური მატჩი ჩაატაროს ერევანში ადგილობრივ „არარატთან“ და მთელი შემოსავალი გადასცეს სტიქიისაგან დაზარალებულ მოსახლეობას.

* * *

ასი ათასზე მეტი მანეთის ღირებულების ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, მედიკამენტები და მოწყობილობები გადაუგზავნა ბელორუსიის სპორტკომიტეტმა სომეხ კოლეგებს. ამასთან, ბელორუსიის ყველა სპორტის მუშაკმა დახმარების ფონდში გადარიცხა ერთი დღის ხელფასი. მინსკის ხელბურთელთა მიბაძვით, რესპუბლიკის ოსტატთა ყველა გუნდი, მატჩებიდან შემოსული თანხის გარდა, გაიღებენ პირად დანაზოგს.



## გუშინ...

საღამოს კიროვის სახელობის პარკში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე ახალგაზრდა მოკრივეთა თბილისის VII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის საზეიმო გახსნა, რომელსაც წინ უსწრებდა დილის ორთაბრძოლები.

ასპარეზობის სტარტი რინგის მასპინძელთათვის წარუმატებელი გამოდგა. ქუთაისელი მჩატე წონის მოკრივე — 54 კგ ნ. ესებუა დამარცხდა სსრ კავშირის ნაკრების წევრ ი. ჩორნეისთან შეხვედრაში, საშუალო წონის ფოთელმა — 75 კგ ა. ოჩიგავამ ორთაბრძოლა დათმო მ. ბილოვთან (სსრ კავშირის ნაკრები), მარტო თბილისელმა მძიმე წონის მოკრივემ დ. ალდარიანმა შეძლო გამარჯვების მოპოვება — დაამარცხა ა. ვისოცკი (სსრ კავშირის ნაკრები).

ასპარეზობა გრძელდება.



# სპორტი და სამეურნეო ანგარიში

**რატომაც არა! სპორტული კოოპერატივი, სამეურნეო ანგარიში, ფასიანი მომსახურება, თვითდაფინანსება, პროფესიული სპორტი. ორიოდე წლის წინ ეს სიტყვები ყურს მოსჭრიდა კაცს, მაგრამ ამ მხრივ დღეს ბევრი რამე შეიცვალა.**

სპორტი ხომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წამყვანი დარგია — თავისი მასობრიობით, ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებებით, წარმოებითა და სპორტული ინდუსტრიით. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ. მიმდინარე წლის ბოლომდე რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა სახელმწიფო ბიუჯეტს მარტო მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სფეროში 10 მილიონი მანეთი მოგება უნდა მისცენ.

ეს საკმაოდ დიდი თანხაა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ერთ სულ მოსახლეზე მანეთი და 88 კაპიკი მოდის, საკავშირო საშუალო მაჩვენებელი კი 0,54 კაპიკს არ აღემატება.

რესპუბლიკაში დღითი დღე იზრდება მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების რიცხვი, ინერგება მომსახურების ახალი ფორმები და სახეები, რომელთა რაოდენობა 25-ს გადასცდა.

რესპუბლიკის ბევრ რეგიონში, სპორტულ ორგანიზაციებში სპორტულ ნაგებობებზე წარმატებით ხორციელდება ფასიანი მომსახურების ახალი ორიგინალური ფორმები, რასაც შესაბამისი შემოსავალი მოაქვს ამ ორგანიზაციებისთვის და მოსახლეობის დიდი მოწონებითაც სარგებლობს.

სულ მალე რესპუბლიკის ყველა სპორტული ორგანიზაცია სამეურნეო ანგარიშზე და მთლიან თვითდაფინანსებაზე გადავა. ამასთან დაკავშირებით იბმება კითხვა: რას ვაკეთებთ, როგორ ვემზადებით, გვეყოფა თუ არა ძალა ამ დიდი და პასუხსაგები ღონისძიების განსახორციელებლად, შეძლებენ თუ არა ჩვენი სპორტული ნაგებობები თავისი თავის შენახვას?

სამწუხაროდ, ბევრ სპორტულ უწყებასა და ორგანიზაციას დღემდე არ უფიქრია ამ საკითხებზე, სახელმწიფო ბიუჯეტს ამოფარებულნი ჯერჯერობით თავს კარგად გრძნობენ. ეს დღეს, მაგრამ რა გველის ხვალ, როდესაც ფაქტის წინაშე დავდგებით?

აქვე გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ სპორტის მუშაკთა ერთი ნაწილის სრული გაურკვევლობა და დაუინტერესებლობა საფინანსო-სამეურნეო საკითხებით. ეს იმ დროს, როდესაც სპორტის საფინანსო სფეროში დღეს ბევრი რამ არის საყურადღებო და საინტერესო. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, სრული დამოუკიდებლობა, ფასიანი მომსახურების ნებისმიერი სფეროს დანერგვა, ჯანმრთელობის ჯგუფებიდან დაწყებული გაქირავების პუნქტებით, ატრაქციონებით, სპორტული ნაწარმის წარმოებით, სამასაჟე და სატრენაჟერო კაბინეტებით, სანახაობითი და მხატვრული ღონისძიებებით, საკონსულტაციო პუნქტებით, ბინაზე მომსახურებით, სპორტული კლუბებით და, თუ გნებავთ, სპორტული ვიდეობარით დამთავრებული.

აირჩიე, რაც გნებავს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

შემოსული თანხების სრული გამგებლობა და სახელმწიფო ბიუჯეტისაგან ხელშეუხებლობა, წახალისებისა და პრემიების განუსაზღვრელი ფონდი, ხელფასზე 30 პროცენტის დანამატი, შეთავსების უფლება და მრავალი სხვა. არის კიდევ ერთი სიახლეც: აუქციონებისა და სპორტული ლატარიის გათამაშების შედეგად მოგებული თანხა გეგმის შესრულებაში ითვლება.

სულ ახლახან მეტად საინტერესო დოკუმენტი მივიღეთ სპორტული ნაგებობების ე. წ. სახელმწიფო კოოპერირებაზე გადასვლის შესახებ. ამ სრულიად ახალი ფორმით უდიდესი შეღავათები ეძლევათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 აგვისტოს № 956 დადგენილებით კომკავშირთან ერთობლივად შექმნილ საწარმოო თუ მომსახურების სფეროს ობიექტებს.

მიღებულია საკავშირო სპორტსახკომის დადგენილება ფეხბურთსა და სხვა სპორტულ თამაშებში ახალი ორიგინალური სამეურნეო კლუბების შექმნის შესახებ და ა. შ. ახლა მთავარია მონდომება, საქმის ღრმა ცოდნა და გამჭრიახობა, ინიციატივა და ახლის ძიება, აი, ასეთი ხალხი სჭირდება დღეს სპორტის ეკონომიკას.

წლების განმავლობაში აფხაზეთის ასსრ სპორტული ორგანიზაციები მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გეგმას ვერ ასრულებდნენ, წელს კი ცნობილი მსახიობების მონაწილეობით სოხუმის სტადიონზე ჩატარებული კონცერტებით გეგმაც შეასრულეს, დიდი მოგებაც ნახეს და მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩა.

არც ბორჯომის სპორტკომიტეტს ულხინდა მაინცდამაინც, მაგრამ წელს შეიძინეს 30 ველოსიპედი, 6 ათასამდე მოზარდს ველოსიპედის მართვა ასწავლეს და 3–4 თვეში 5 ათასი მანეთი მოგებაც დარჩათ.

ასევე ყაირათიანად იქცევიან სიღნაღში, სადაც პროფსაბჭოს სპორტულ კომპლექსში საერთაშორისო ტურნირებთან ერთად მოსკოვის სკოლებთან „მხიარული სტარტების“ შეჯიბრებების ჩატარებასაც ახერხებდნენ და ცნობილი მხატვრული კოლექტივების მოწვევასაც.

ერთი სიტყვით, მთავარია მონდომება, საქმის სიყვარული და მაღალი პროფესიონალიზმი. ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას — სწორედ მაღალი პროფესიონალიზმი სჭირდება დღეს სპორტს. ნურც ფულის თვლა-ანგარიშს მოვერიდებით.

სეულის XXIV ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის დელეგაციის მონაწილეობისთვის 7 მილიონი მანეთი დაიხარჯა, მათ შორის ორ ნახევარ მილიონამდე — უცხოური ვალუტით. თითოეული სპორტსმენის შენახვა 8 ათასი მანეთი დაჯდა. მარტო წახალისების ფონდი 2 მილიონ მანეთს აღწევდა, აქედან დიდი ნაწილი — უცხო ვალუტით.

ეს თანხა მთლიანად საბჭოთა კავშირის სპორტსახკომმა გაიღო, რომელიც კარგა ხანია სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზეა გადასული. ასე რომ, დროა, ჩვენც ვისწავლოთ ფულის ყადრი, თუ გნებავთ მისი მოპოვება და ხარჯვაც. ჩოგბურთელმა ა. ჩესნოკოვმა წლეულს ექვს თვეში 200 ათასი დოლარი მოგება მოგვცა, ფეხბურთელმა ა. ზავაროვმა კი — 5 მილიონი (!). დღეს უცხოეთის ქვეყნებში პროფესიონალთა კლუბებში წარმატებით გამოდიან ფეხბურთელები ო. ბლოხინი, ვ. ხიდიატულინი, ფრენბურთელი ოლგა სუხარნოვა, ჰოკეისტები ვ. ზუბკოვი, ვ. ლუბკინი და სხვები. ახლახან დაიდო ხელშეკრულება 16 საბჭოთა ველომრბოლსა და იტალიის პროფესიონალთა კლუბ „ალფა ლუმს“ შორის. გადაწყვეტილია რ. დასაევის პროფესიულ კლუბში გადასვლის საკითხი.

უმაღლესი კლასის პროფესიონალთა დონის სპორტსმენთა აღზრდა და საჭიროების შემთხვევაში მათი ექსპორტი (ნურც ამას ვიუცხოებთ) სპორტსაც არგებს და სპორტსმენებსაც. ამავე დრო ეს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟზეც მეტყველებს (ა. ზავაროვმა კიევის „დინამოს“ 2 მილიონი დოლარი მოუტანა). ეს ცალკე და, მე ვიტყოდი, მეტად აქტუალური თემაა.

აუცილებელია ფულის უაღრესად ყაირათიანად ხარჯვა. იქნებ ახლა მაინც ვისწავლოთ და დავიანგარიშოთ, რა გვიჯდება ერთი რიგითი პირველთანრიგოსნის მომზადება რესპუბლიკის 241 სხვადასხვა უწყების, პროფილის და დანიშნულების სპორტულ სკოლებსა და 4500-ზე მეტ სპეცჯგუფში?

ნუ მიწყენენ ჩემი კოლეგები, თუ ვიტყვი, რომ თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერისი ინვენტარმოწყობილობით, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის სრულყოფილი ფორმებითა და მაღალკვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლებით აღჭურვილი სპორტული სკოლები თითებზე დასათვლელი თუ მოგვეპოვება.

იქნებ დადგა დრო, პრინციპულად გადაწყდეს სპორტული სკოლების საქმიანობაში ერთმართველობის საკითხი, იქნებ მაშინ მაინც დავიანგარიშოთ, უწყებრივი დაქვემდებარებების გარეშე ათეული წლების მანძილზე რომელმა სკოლამ რა მოგვცა, რათა ათის მაგივრად ერთი სკოლა გავხსნათ და სახსრებიც მას მოვახმაროთ. მით უფრო, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც იძულებული გავხდებით ასე მოვიქცეთ (ცნობისათვის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სულ 79 სპორტული სკოლაა).

ცალკე გვინდა გამოვყოთ ჩვენთვის უცხო ხილი, მაგრამ უცხოეთში ღრმად აპრობირებული სპონსორობისა და ადგილობრივი თუ უცხოური ნაწარმის რეკლამის როლი. ერთიცა და მეორეც დღეისათვის ჩვენთან ნულამდეა დაყვანილი, არადა, ერთიც და მეორეც განსაკუთრებულ ყურადღებას და შესწავლას მოითხოვს და რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესი.

რესპუბლიკაში დღითი დღე იზრდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივების რიცხვი. მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სფეროსაგან განსხვავებით, სპორტული კოოპერატივი იურიდიულად დამოუკიდებელი დაწესებულებაა თავისი ბეჭდით, შტამპით და ბანკში პირადი ანგარიშით.

დღეისათვის რესპუბლიკაში ოფიციალურად რეგისტრირებულია 29 სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივი, გაფორმების სტადიაშია კიდევ 6-8. სამწუხაროდ, თბილისში მოქმედებს 24 კოოპერატივი და რესპუბლიკის რეგიონებში კი — სულ 5 (!).

ყველაზე მეტი კოოპერატივი გახსნილია სასკოლო საცურაო აუზებთან. თბილისში კოოპერატივები მუშაობს 11 სკოლის საცურაო აუზების ბაზაზე. იხსნება კიდევ 3–4 კოოპერატივი.

განსაკუთრებულ ყურადღებას და მხარდაჭერას საჭიროებს სახალხო განათლების სისტემაში შექმნილი კოოპერატივი „მართვე“, რომელიც სკოლამდელ დაწესებულებებში ნორჩების ფიზიკური აღზრდის საქმეს მოემსახურება. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს სპორტკომპლექს „ბურევესტნიკთან“ შექმნილი კომპლექსური კოოპერატივი „გრაცია“. ბევრს გვპირდება კოოპერატივი „ჩოგანი“, მინიფეხბურთში — „მტრედები“, ზესტაფონის „სიჭაბუკე“, სამტრედიის „როქი“, ლანჩხუთის „დილა“, თბილისის ტრენაჟორების დამამზადებელი „ათლეტი“, ქუთაისის „გრაცია“ და ბევრი სხვა.

ჯერჯერობით არაფერი ისმის სოხუმიდან, ბათუმიდან, ცხინვალიდან, ზუგდიდიდან, ხაშურიდან, გორიდან, თელავიდან და რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქიდან.

გვინდა ყველას შევახსენოთ, რომ სასკოლო საცურაო აუზების ბაზაზე გახსნილი კოოპერატივების უპირველესი ამოცანა ცურვაში სასკოლო გაკვეთილების ორგანიზაციაა.

ამასთან ერთად გვინდა გამოვთქვათ ერთი სურვილიც: ნუ შემოვიფარგლებით საკუთარი კედლებით და კოოპერატივ „ჩოგანის“ მაგალითზე (რომელმაც შესაშური თაოსნობა გამოიჩინა კუს ტბაზე „მგლის მუხლის“ მარათონის ჩატარებით და არც საკმაოდ დიდი ხარჯების გაწევას მოერიდა) საშეფო და საქველმოქმედო საქმიანობაზეც ვიფიქროთ. ეს ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი და მორალური ვალდებულებაც არის. ქველმოქმედება ცოტა სხვანაირად გაიგეს თბილისის 177-ე სკოლასთან არსებული კოოპერატივის წევრებმა, სადაც საგანგებოდ შერჩეული სპორტული ჯგუფის ბავშვებისათვის ყოველთვიური გადასახადი ერთიორად გაზარდეს (!). უფრო შორს წავიდა კოოპერატივი „ჯანმრთელობა“, აქ უშუს ასწავლიან და აბონემენტის ღირებულება ერთი თვით 40 მანეთი იყო. ახლახან გვაცნობეს, რომ ეს თანხა 30 მანეთამდე დაიყვანეს (!).

სასკოლო საცურაო აუზების ბაზაზე გახსნილმა კოოპერატივებმა ძირითადად გაამართლეს დანიშნულება. საქმე ის გახლავთ, რომ საკუთარი საცურაო აუზი აქვს თბილისის 26 საშუალო სკოლას. მათგან უმეტესობას საცურაო აუზი მხოლოდ სახელად ჰქვია, თორემ იქ ჯერ წყალი არ ჩასხმულა და ალბათ კარგა ხანს არც ჩაისხმება. რა მოგვცა სასკოლო კოოპერატივებმა? უპირველეს ყოვლისა ის, რომ საცურაო აუზი ამოქმედდა, სკოლამ უფასოდ მიიღო წყალი და იჯარის გზით დამატებითი ფულადი შემოსავალი, სკოლის ზოგიერთმა თანამშრომელმა — მნიშვნელოვანი დამატებითი ფულადი ანაზღაურება, მიკრორაიონის მაცხოვრებლებმა — ჯანმრთელობის კერა, ხოლო სახელმწიფომ — შემოსავალი დადგენილი გადასახადის სახით.

ისმება კითხვა: რა ჯობია — ფსკერგამშრალი, ხანგვედ ქცეული სპორტულ აუზად წოდებული ნაგებობა თუ სპორტული კოოპერატივი?

ჩვენი აზრით, დღეისათვის სასკოლო საცურაო აუზების ამოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სპორტული კოოპერატივია.

დღეისათვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ მე-40, 94-ე, 179-ე, 163-ე საშუალო სკოლების კოოპერატივები, რასაც ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, მაგალითად, 172-ე, 174-ე, 175-ე საშუალო სკოლებზე. დასახელებულ სკოლებში უბრალო შეხედვითაც კი აშკარაა, რომ წყლის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამასთან, აღნიშნული კოოპერატივები კარგა ხანია გახსნილია, მაგრამ სასკოლო გაკვეთილების ჩატარებაზე თავს არც სკოლა იწუხებს, არც კოოპერატივის ხელმძღვანელობა.

დაწვრილებით შევეხები ერთ საკმაოდ მტკივნეულ საკითხს. ჩინური ტანვარჯიშის უშუს პოპულარიზაციას ჩვენ მხოლოდ მივესალმებით, მაგრამ ისმება კითხვა: ვინ ასწავლის ამ ვარჯიშებს?

ჯერჯერობით რესპუბლიკაში არა გვყავს უშუს სპეციალისტები, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია სემინარების ჩატარება ძირითადად ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებისთვის.

ამასთან ერთად, გვინდა შევახსენოთ უშუს ამოფარებულ ზოგიერთ კარატეს მოყვარულს, რომ კარატეს სწავლება სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, რისთვისაც მკაცრი სასჯელია დაწესებული. ცხადია, არავინ აპირებს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივების საფინანსო-სამეურნეო და სხვა საშინაო საქმეებში ჩარევას (ეს შესაბამისი ორგანოების მოვალეობაა), მაგრამ როდესაც საკითხი სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, სწავლების მეთოდიკას, მწვრთნელთა კვალიფიკაციას, მოზარდების უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას ეხება, სახალხო განათლებისა და სპორტული ორგანოების მხრიდან წაყრუება-ჩაურევლობა დაუშვებლად მიგვაჩნია.

სპორტულ-გამაჯანსაღებელ კოოპერატივებში ყველაზე კეთილსინდისიერი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები უნდა მუშაობდნენ.

სამწუხაროდ, ვერც ერთ სასწავლო კოოპერატივში ვერ გვიჩვენეს პროგრამები, სასწავლო გეგმები, კონსპექტები, ვერსად ვერ დაგვისახელეს, რამდენ ბავშვს ასწავლეს ცურვა (ზოგი კოოპერატივი კი უკვე მეორე წელია მოქმედებს). სამწუხაროა ისიც, რომ რესპუბლიკის ბევრი სპორტული ორგანიზაცია რატომღაც საერთოდ განზე დგას სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივების საქმიანობისგან, თუმცა ეს კოოპერატივები სწორედ მათი უშუალო შუამდგომლობით უნდა იხსნებოდეს.

არის კიდევ ერთი მომენტი: რესპუბლიკას უჭირს ისედაც გაზრდილი ფასიანი მომსახურების გეგმის შესრულება (კოოპერატივის შემოსავალი იმ ორგანიზაციას ეთვლება გეგმის შესრულებაში, ვის ბაზაზეც ის არის შექმნილი). ამიტომ კოოპერატივის მომსახურების სფეროსა და შემოსავლის გაზრდით შესაბამისი უწყებაც ყოველმხრივ უნდა იყოს დაინტერესებული. ამ მხრივ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კოოპერატივებს დახმარება აკლიათ.

სპორტული სამყარო მისთვის უცნობი და ერთობ რთული ამოცანის წინაშე დგას. გაიმარჯვებს ის, ვინც ადრე აუღებს ალღოს სიახლეს, მეტ გამჭრიახობას და საქმიან თვისებებს გამოამჟღავნებს და ოპერატიულად გადაწყვეტს ყველა საკითხს.

**ბიჭი ჭირმელაშვილი,**
**საქართველოს სპორტსახკომის მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განყოფილების გამგე.**

# ვინ მოიპოვებს საგზურებს?

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში გრძელდება დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა მე-60 ჩემპიონატი.

გთავაზობთ VII ტურის ტექნიკურ შედეგებს: გოგიჩაიშვილი-ხაჩიძე — 1:0, ვაშაკიძე-ნეჩაევი — 0:1, ჩიქოვანი-მოვსესიანი — 1:0, სხილაძე-მესტვირიშვილი — 1:0, თანდაშვილი-ლობჟანიძე — 0:1, დაბრუნდაშვილი-პაქსაშვილი — 0:1, ხანთაძე-ცქიტიშვილი — 1:0. გადაიდო სიგუა-მიქაელიანის პარტია.

7 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: დავით პაქსაშვილი — 5 (1), გივი გოგიჩაიშვილი — 5, დავით ლობჟანიძე, იური ჩიქოვანი — 4-4 (2-2), გია ცქიტიშვილი — 4.

აქვე შეგახსენებთ, რომ პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკე რესპუბლიკური ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებს, ხოლო II-III ადგილების მფლობელნი I ლიგაში იასპარეზებენ.

**სულ** ორი ტური რჩება 1971 წელს და უფრო გვიან დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობის დამთავრებამდე. გაგაცნობთ IX ტურის შედეგებს:

**გოგონები:** როჭიკაშვილი-ფაჩულია — 0:1, ხურცილავა-გრიგალაშვილი — 1:0, ლომინეიშვილი-ნიკოლაძე — 0:1, კემულარია-ეძგვერაძე — 0:1, ლებანიძე-ღლონტი — 1:0, სახოკია-მოდებაძე — 0,5:0,5.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: სოფიკო ნიკოლაძე — 8, ნატო ეძგვერაძე — 7, მარინე ლებანიძე — 6,5 (1).

**ჭაბუკები:** ტიკურიშვილი-უთმელიძე — 1:0, კვარაცხელია-მასხარაშვილი — 0:1, ხაბურზანია-კეკელიძე — 1:0, იაშვილი-ყაშაშვილი — 1:0. გადაიდო დგებუაძე-პოპოვისა და ჯანგობეგოვ-გოგოლაძის პარტიები.

აქ 9 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: იანის პოპოვი — 7 (1), დავით ტიკურიშვილი — 7, ალექსანდრე დგებუაძე, აკაკი იაშვილი — 4,5-4,5 (1-1).

გოგონათა ტურნირის სამივე პრიზიორი და ჭაბუკთა შორის I და II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები გაისად, წლის დასაწყისში, მონაწილეობას მიიღებენ თანატოლთა საკავშირო პირველობებში.

**ვასილ ვაშალომიძე.**

# ყველა სახეობაში — საპრიზო ადგილზე

პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების ზესტაფონის რაიონული საბჭოს I მუშათა სპარტაკიადაში, რომლის პროგრამაში შედიოდა მინიფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტურიზმი, ჭადრაკი, შაში, ფრენბურთი და ცურვა, წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 33 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა.

ყველაზე უკეთ იასპარეზეს „ცენტრმეტალურგმშენის“ სპეციალიზირებული სამმართველოს მუშა სპორტსმენებმა (პროფკავშირების თავმჯდომარე ზ. ვარდია, ინსტრუქტორ-მეთოდისტი ზ. ბოჭორიშვილი), რომლებმაც ორი პირველი, სამი მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავეს.

მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად ფეროშენადნობთა ქარხნისა და კვალითის კოლმეურნეობის წარმომადგენლები გავიდნენ.

**თ. მანჩხაშვილი,**
**პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების ზესტაფონის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# დინამოელთა მძიმე დღეები

თბილისი. სპორტის სასახლე. 12 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტალინი) 78:101 (56:48).

„დინამო“: დარსაძე (21), კოლიჩევი (21), კაპუსტინი (17), კროპაჩოვი (12), ტიუბინი (5), ბარადაჩოვი (2).

„კალევი“: კუუსმა (30), მატსტაკი (30), აბელიანოვი (12), ნიგელი (11), ტოომისტე (6), რეიგიმი (5), საკსაკულმი (5), პიხელგასი (2).

მსაჯები: ვ. დუბჩაკი (სიმფეროპოლი) და ტ. ჰასანოვი (ბაქო).

უკან დასახევი გზა მოჭრილია, პირველი ლიგის „სუნთქვა“ გამოკვეთილად, მკაფიოდ ისმის და რომ არ მოხდეს ისეთი რამ, რისი გამოსწორებაც მერე შეუძლებელი იქნება, ზომები ახლავე უნდა მივიღოთ.

„კალევთან“ განმეორებითმა მატჩმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ უპირატესობის შენარჩუნებას და გაღრმავებას კალათბურთში ისეთივე დიდი ხელოვნება სჭირდება, როგორც გამარჯვებას. თუმცა უპირატესობის მოპოვებაც, თავისთავად დიდი საქმეა და ჩვენი ერთადერთი ნუგეში ამჟამად ეს გახლავთ. მაგრამ სამართლიან შეშფოთებას იწვევს ის, რომ ვაინაჩრობით მოპოვებულ უპირატესობას იოლად, ფაქტიურად, უბრძოლველად ვთმობთ.

მეტამორფოზა ჩვენი გუნდის ხასიათში სარეკორდოდ მცირე დროში მოხდა. კორაჩის თასის საპასუხო შეხვედრაში ბრწყინვალე გამარჯვებამ და საკავშირო ჩემპიონატის ორმა ბოლო მატჩმა მოსკოვში ადგილობრივ „დინამოსთან“, რაღა დაგიმალოთ, გარკვეული ილუზიები შეგვიქმნა. მაგრამ ამ ილუზიების მსხვრევას, და ეს არის ყველაზე უფრო საგანგაშო, ასევე სარეკორდოდ მცირე დრო დასჭირდა.

საანგარიშო მატჩის პირველ ნახევარში ყველაფერი თითქოს რიგზე იყო. „დინამო“ ფლობდა ინიციატივას, მოიპოვა გარკვეული უპირატესობა და 13 ქულით დაწინაურდა.

კალათბურთის, ისევე როგორც სპორტის ნებისმიერი სახეობის, გულშემატკივარი იმედით ცხოვრობს. პირველი ტაიმის შედეგი ასეთი იმედის რეალურ საფუძველს იძლეოდა. იყო, რა თქმა უნდა, ცალკეული უზუსტობანი, შეცდომები, აქა-იქ ჩავარდნებიც კი, მაგრამ ბრძოლის სურათი თუ ასე მკვეთრად შეიცვლებოდა, აზრადაც არ მოგვსვლია.

13 ქულიანი უპირატესობა მეორე ტაიმის მხოლოდ რამდენიმე წუთს გასწვდა. მერე ყველაფერი თავიდან დაიწყო — ბრძოლა ბურთისთვის, ქულისთვის და, რაც მთავარია, ინიციატივისთვის, რომელიც პირველ ნახევარში მეტ-ნაკლებად ჰარბად გვქონდა. მაგრამ ეს იყო ყოვლად უიმედო ბრძოლა, რომელსაც არ შეიძლებოდა სასურველი შედეგი მოჰყოლოდა. ბრძოლა ცხადია წავაგეთ და მასთან ერთად დავყარეთ ფარ-ხმალი, ბედს შევურიგდით, თითქოს არც წინა დღის გამარჯვება ყოფილა და არც 13 ქულით მოგებული ტაიმი.

„კალევი“ არ არის ის გუნდი, რომელთანაც ძნელია თამაში უფრო მეტიც, „კალევს“ დღეს იგივე პრობლემები აწუხებს, რაც თბილისის „დინამოს“. მაგრამ ულიდეროდაც კი (ტიიტ სოკი, ამ ცოტა ხნის წინ, ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ახლდა აშშ-ში) იგი ახერხებს მოწოდების სიმაღლეზე ყოფნას და თქვენ წარმოიდგინეთ პრობლემებსაც ასე თუ ისე აგვარებს.

„დინამოს“ მძიმე დღეები დაუდგა, მაგრამ მაინც ბოლომდე ოპტიმისტებად უნდა დავრჩეთ. ძნელი დასაჯერებელია, რომ გუნდს, რომელიც სეზონის დასაწყისში კორაჩის თასზე თამაშობდა, უკვე შუა სეზონში უმაღლესი ლიგის დატოვება ემუქრება. სახელოვანი ისტორიის ასეთი უფერული დასასრული მთელი ჩვენი სპორტისთვის დიდი ტრაგედია იქნება.

**ნოდარ გუგუშვილი.**

## სხვა მატჩები

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

**რიგა.** ალმა-ათის არმიელებმა მეორე შეხვედრაც მოუგეს ადგილობრივ ვეფ-ს — 104:92 (54:50).

**მოსკოვი.** ცსკა-მ სატურნირო ცხრილში მეათე გამარჯვება ჩაიწერა დონეცკის „შახტიორთან“ — 69:65 (35:36).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 დეკემბრისთვის

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (ალმა-ათა) | 14 | 9 | 5 | 1359-1325 | 23 |
| ცსკა | 10 | 10 | 0 | 1019-798 | 20 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 12 | 7 | 5 | 1187-1139 | 19 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 12 | 5 | 7 | 1083-1027 | 17 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრ.) | 12 | 5 | 7 | 967-1044 | 17 |
| „კალევი“ (ტალინი) | 12 | 5 | 7 | 1009-1036 | 17 |
| ვეფ (რიგა) | 14 | 2 | 12 | 1221-1426 | 16 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 8 | 7 | 1 | 800-731 | 15 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 8 | 7 | 1 | 754-687 | 15 |
| რტი (მინ.) | 10 | 5 | 5 | 848-843 | 15 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 12 | 3 | 9 | 903-1014 | 15 |
| „დინამო“ (თბილისი) | 12 | 3 | 9 | 1024-1113 | 15 |

# ქუთაისის ტორპედოელები ვიეტნამში

**ამ დღეებში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკიდან შინ დაბრუნდა ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელმაც ამ ქვეყანაში მეგობრული ტურნე გამართა და ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები ჩაატარა იქაურ საუკეთესო გუნდებთან.**

**„ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს და თხოვა მკითხველთათვის ეამბნა ტორპედოელ ფეხბურთელთა ამ ამხანაგურ ტურნეზე, განვლილ სეზონზე, მომავალ ამოცანებზე.**

— წლევანდელი სეზონი ქუთაისის „ტორპედოსთვის“ ძალზე ძნელი იყო. — თქვა რ. ძოძუაშვილმა. — ძნელი იყო არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ მეორე ლიგის ზონაში მონაწილეობა მისთვის დაუძლეველ სირთულეებთანაა დაკავშირებული. არა. სიძნელე ფსიქოლოგიური ხასიათისა გახლდათ. ქუთაისის „ტორპედო“ წარსულში ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ლიგაშიც გამოდიოდა, პირველი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდიც იყო, მაგრამ ყოვლად მიუტევებელი უპასუხისმგებლობისა და უყურადღებობის გამო მეორე ლიგაში მოუხდა ჩამოქვეითება. მეორე ლიგა ქუთაისისთვის კარგა ხნის განვლილი ეტაპია. თავის დროზე რომ რიგიანად მიგვეხედა საქმისთვის, ქუთაისელებს ამ დონეზე საქმე აღარც უნდა ჰქონოდათ. მაგრამ, სამწუხაროდ ასე მოხდა და რახან კოლექტივმა ამოცანად მტკიცედ დაისახა მაღალი კატეგორიის რიგებში დაბრუნება, მას ძალების მთელი მობილიზება დასჭირდა მიზნის მისაღწევად და ფსიქოლოგიური სიძნელეც ეს გახლდათ. ვუფრთხილდებოდით ყოველ მატჩს, ველოლიავებოდით თითოეულ ქულას, საჭირო იყო ჯერ ზონაში გამარჯვება, მერე კი ლიგის სხვა ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალურ ტურნირში წარმატების მოპოვება. სეზონის მანძილზე მოგვიხდა საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლა: ესენია სარატოვის „სოკოლი“, კიროვაბადის „ქიაფაზი“, რუსთავის „მეტალურგი“, შემდეგ, — ნოვოროსიისკის „ცემენტი“ და პავლოდარის „ტრაქტორი“. შემთხვევითობა და ყოველგვარი დანაკარგი შეიძლება საბედისწერო გამომდგარიყო, ასეთ შემთხვევითობას ვერც დავაღწიეთ თავი, როცა ფინალურ ტურნირში „ცემენტთან“ შინ ქულა დავკარგეთ. მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კეთილად დასრულდა, ქუთაისის „ტორპედოც“ თავის კანონიერ ადგილს დაუბრუნდა პირველ ლიგაში.



თამაშის მომენტი ხანოის გუნდსა და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის.

ეს ფაქტი თავისთავად სასიხარულოა, მაგრამ პირადად მე ჯერაც არ გამნელებია სინანულის ის გრძნობა, რომელიც მაშინ დამეუფლა ჩემი მშობლიური გუნდი რომ მეორე ლიგამდე დავიდა. რა მოხდა, რატომ უნდა დაქვეითებულიყო ქუთაისის „ტორპედო“ მეორე ლიგაში?

სხვა მიზეზებთან ერთად ისიც უმთავრესად მიმაჩნია, რომ გუნდის გარშემო შექმნილ ქაოსში უამრავი არაპროფესიონალი და დილეტანტი ტრიალებდა, რომლებიც თავიანთ თავს გადამწყვეტი ხმის უფლებას აძლევდნენ და გუნდის ცხოვრებაზეც ზემოქმედებდნენ. რასაკვირველია, ეს აჟიოტაჟი და არაკომპეტენტურობა თვით ფეხბურთელებზეც გადავიდა, ხშირად საქმე იქამდეც მიდიოდა, რომ გუნდს სთავაზობდნენ აშკარად არაპერსპექტიულ ფეხბურთელებს, შემადგენლობის დაკომპლექტებაც ... და ა. შ.

მაგრამ შემდგომში, თანდათანობით, საქმეები მოწესრიგდა. გუნდს დიდი მორალური შემწეობა გაუწია ქუთაისის სპორტულმა საზოგადოებრიობამ, გულშემატკივრებმა, ხალხმა, დახმარება გაგვიწია ქალაქის ხელმძღვანელობამ, ავტოქარხნისა და პროფკავშირების მესვეურებმა და რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ. ეს უკვე გუნდის შინაურ საქმეებში ჩარევა კი არ იყო, არამედ საქმიანი, საჭირო დახმარება, რეალური ხელშეწყობა, რაც ძალიან გვჭირდებოდა. საერთოდ, ფეხბურთს ყოველთვის ესაჭიროება ნამდვილი ენთუზიასტი და ხელშემწყობი ადამიანები, მათ შესაძლო წვლილი უნდა გაიღონ ფეხბურთისთვის და არა პირიქით, როგორმე რამე რომ გამოსტყუონ მას.

სეზონის დამთავრების შემდეგ, როცა ტორპედოელებმა თავიანთი მთავარი ამოცანა შეასრულეს და პირველ ლიგას დაუბრუნდნენ, იმის საშუალებაც გამოიძებნა, რომ გუნდი უცხოეთში გამგზავრებულიყო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. ჩემი აზრით, ეს კარგი წახალისება იყო ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის...

**ის. მე-4 გვ.**

# ფინალში გავიდნენ

მალაიზიაში მიმდინარე ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე (ასაკი 20 წლამდე) საბჭოთა ფეხბურთელებმა „ა“ ქვეჯგუფში ანგარიშით 3:1 დაამარცხეს მალაიზიის გუნდი და ფინალში გავიდნენ. ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა სალენკომ, ერთი — კიოიაკოვმა.

# ფიფა-ს სამართლიანობის პრიზი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ სამართლიანი თამაშის პრიზი მიაკუთვნა გფრ-ის „ვერდერის“ 20 წლის ფეხბურთელს ფრანკ ორდონევიცს, რომელიც 50 ათას შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს ჯილდოდ.

ფიფა-მ რეიტერის სააგენტოს მეშვეობით გადმოსცა, რომ ფ. ორდონევიცმა კეთილშობილური საქციელი გამოიჩინა, როცა ქვეყნის ჩემპიონატის მატჩში „კიოლთან“ მსაჯის წინაშე აღიარა, რომ საკუთარ საჯარიმო მოედანზე ხელით ითამაშა, თუმცა არბიტრს ეს არ დაუნახავს. „კიოლნის“ ფეხბურთელებმა პროტესტი გამოთქვეს, მსაჯმა ორდონევიცს მიმართა, მან კი გადაჭრით აღიარა, რომ წესი დაარღვია. ამის გამო „ვერდერის“ კარში დაინიშნა 11-მეტრიანი.

# „შრომითი რეზერვების“ ჩემპიონატი

**მოეწყო** სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს 1988 წლის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ საბაზო პროფტექნიკური სასწავლებლების გუნდები.

ეს იყო რიგით V ჩემპიონატი, მონაწილე გუნდები დაყოფილი იყვნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად, საბაზო გუნდებს ნება დაერთოთ ტერიტორიული პრინციპით სხვა რაიონების სასწავლებლებიდანაც მოეწვიათ პერსპექტიული ფეხბურთელები. გაზაფხულზე გაიმართა პირველი წრის, ხოლო შემოდგომით — მეორე წრის შეხვედრები. ზონებში I-II ადგილებზე გასულმა გუნდებმა ვანში გაითამაშეს ფინალური ტურნირი უძლიერესის გამოსავლენად.

აღმოსავლეთ ზონიდან ფინალში გავიდნენ რუსთავის № 3 და № 162 და თბილისის № 11, ხოლო დასავლეთ ზონიდან — ვანის № 68, სოხუმის № 58 და ზუგდიდის № 62 პროფტექნიკური სასწავლებლების გუნდები.

ფინალური ეტაპი დაუმარცხებლად განვლო ვანის № 68 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდმა და ქულათა მაქსიმუმით პირველი ადგილი დაიკავა (სკოლის დირექტორი ჯ. ერემეიშვილი, მწვრთნელი ო. ნიკოლაიშვილი). მეორე ადგილზე გავიდა რუსთავის № 3 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდი (დირექტორი დ. კალმახელიძე, მწვრთნელი მ. გოგოლაძე), მესამეზეც რუსთაველები არიან, კერძოდ № 162 პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი (დირექტორი თ. ფერაძე, მწვრთნელი ზ. ეძგერაძე).

საუკეთესო ფეხბურთელებს გადაეცათ სპეციალური პრიზები: მეკარისა — გ. ბეგაშვილს (თბილისის № 11 პროფტექნიკური სასწავლებელი), მცველის — ქ. ძლიერიშვილს (რუსთავის № 3 პროფტექნიკური სასწავლებელი), ნახევარმცველის — გ. ჩიხრაძეს (რუსთავის № 162 პროფტექნიკური სასწავლებელი), თავდამსხმელის ნ. ძაგნიძეს და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელისა ზ. ბელთაძეს (ორივე — ვანის № 68 პროფტექნიკური სასწავლებელი).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შეარჩიეს საზოგადოების ნაკრების კანდიდატები.

**უ. ფურცელაძე,**
**„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის მეთოდისტ-ინსტრუქტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**



**სურათზე:** „შრომითი რეზერვების“ 1988 წლის ჩემპიონი ვანის № 68 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდი.



### სტატისტიკამ ყველაფერი იცის

საინტერესო ცნობები გამოაქვეყნეს იტალიელმა ფეხბურთის სტატისტიკოსებმა. მათი მონაცემებით, იტალიელ კაცს ცოლი საშუალოდ 27,8 წლისას მოჰყავს. რაც შეეხება იტალიელ ფეხბურთელებს, ისინი ამ ნაბიჯს გაცილებით უფრო ადრე დგამენ — 23,2 წლის ასაკში. პირველი ლიგის 18 კლუბის ფეხბურთელების 60 პროცენტი ცოლიანია, 37 პროცენტი — არა. ფეხბურთელების 3 პროცენტი გაყრილია.

ერთი საინტერესო დაკვირვებაც: იტალიელ ფეხბურთელთა უმრავლესობას მხოლოდ თითო შვილი ჰყავს.

### 3 თვით პატიმრობა

დანიელი პროფესიონალი ფეხბურთელი, 25 წლის იან მელბიუ, რომელიც ინგლისის „ლივერპულში“ გამოდის, სასამართლოს წინაშე წარსდგა. ნასვამი მართავდა მანქანას. მას 3 თვის პატიმრობა მიესაჯა. მიუხედავად იმისა, რომ ი. მელბიუს კონტრაქტი „ლივერპულთან“ 1991 წლამდე უნდა გაგრძელდეს, მოელიან, რომ ინგლისური კლუბი დაარღვევს ამ ხელშეკრულებას.

### ფიფა-ს კომისიის დასკვნა

ფიფა-ს კომისიამ შეამოწმა იტალიის სტადიონები, სადაც 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩები უნდა ჩატარდეს. კომისიამ იტალიელთა მზადებას მაღალი შეფასება მისცა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა რომის ოლიმპიურმა სტადიონმა, სადაც ფინალური შეხვედრა უნდა გაიმართოს. რეკონსტრუქციის შემდეგ იგი 80 ათას მაყურებელს იტევს.

### ი. ხოვანეცი „ეინდჰოვენში“ ითამაშებს

ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელი, ეროვნული ნაკრებისა და პრაღის „სპარტის“ მოთამაშე, 28 წლის იოჟეფ ხოვანეცი 1989 წლიდან ჰოლანდიის „ეინდჰოვენში“ ითამაშებს. ხელშეკრულება სამნახევარი წლით არის გაფორმებული. ი. ხოვანეცმა, რომელიც 1986 წელს ჩეხოსლოვაკიის № 1 ფეხბურთელად იყო აღიარებული, ეტყობა, როლანდ კუმანის ნაცვლად უნდა ითამაშოს. კუმანს ახლა ევროპის რამდენიმე ძლიერი კლუბი ეპატიჟება და გადაწყვეტილია, რომ 1989 წლის ზაფხულისათვის იგი ჰოლანდიაში აღარ დარჩება.

# ქუთაისის ტორპედოელები ვიეტნამში

(დასასრული)

ელთათვის, რომლებმაც მთელი სეზონის მანძილზე არაფერი დაიშურეს და მთელი ძალით იბრძოლეს წარმატების მოსაპოვებლად. ვიეტნამი, მოგეხსენებათ, დიდი საფეხბურთო ქვეყანა არ გახლავთ, მაგრამ ეს მგზავრობა საინტერესო იყო ჩვენი ახალგაზრდობისათვის, მათ თავისებური კლიმატის გამოცვლა ესაჭიროებოდათ. გარდა ამისა, აუცილებელი იყო სპორტული ფორმის შენარჩუნებაც, რისთვისაც საგანგებოდ ვემზადებით. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ვიეტნამში 14 დღეში 8 მატჩი ჩავატარეთ, რამაც საშუალება მოგვცა შეგვენარჩუნებინა სპორტული მომზადების, საერთო მზადყოფნის კონდიციები.

პირველი მატჩი ხანოიში გვქონდა ჩასვლის დღესვე. ის თამაში წავაგეთ ანგარიშით 1:2, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითმფრინავით 20 საათი ვიმგზავრეთ და მერე ავტობუსით 400 კილომეტრი გავიარეთ, გადაქანცულმა ტორპედოელებმა იმ დღეს მეტი ვერაფერი შეძლეს, მარცხის მიზეზებიც ნათელი გახდება. ეს იყო ჩვენი ერთადერთი წაგება ვიეტნამში, მერე ყველაფერი რიგზე დადგა, ერთი მატჩი ფრედ დავამთავრეთ და ექვსი მოვიგეთ.

ვიეტნამის გუნდები, ფეხბურთელები მაღალი ინდივიდუალური კლასით არ გამოირჩევიან, მაგრამ ისინი ისეთი თავგამოდებით, ისეთი შემართებით თამაშობენ, რომ მათთან ბრძოლა უკიდურესად ძნელი ხდება. თუ მთელი მობილიზება არ გამოიჩინე, მთელი ძალა არ გამოავლინე, ვერაფერს გახდები. განსაკუთრებით მომეწონა ამ ქვეყნის არმიელთა გუნდი და სპორტსაზოგადოება „დინამოს" ნაკრები.

ერთი სიტყვით, მეგობრულ ვიეტნამში მგზავრობამ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ხალისი და სტიმული შემატა, მაგრამ მე სულ ერთთავად იმის ფიქრში ვარ, რომ ახალ სეზონში გაცილებით უფრო ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს ბრძოლა, ადრე გაზაფხულზევე კი სსრ კავშირის თასის უძნელესი თამაშები მოგველის კიევის „დინამოსთან". ტორპედოელებს სეზონი ფაქტიურად არ შეგვიწყვეტია, მცირე ხანს შევისვენებთ და კვლავ განვაახლებთ მზადებას 1989 წლის სეზონისთვის — სსრ კავშირის თასისა და პირველი ლიგის ძნელი ტურნირის მატჩებისთვის.

ფეხბურთის მოყვარულებს მინდა ვაუწყო, რომ ქუთაისის „ტორპედოს" მჭიდრო ურთიერთობა ექნება თბილისის „დინამოსთან" და მის ხელმძღვანელობასთან. ეს მჭიდრო ურთიერთობა მარტოოდენ მეგობრულ დამოკიდებულებას როდი გულისხმობს, პირველ ყოვლისა, ლაპარაკია ამ ორ გუნდს შორის ფეხბურთელთა გაცვლა-გამოცვლაზე. თბილისის „დინამოსთვის" არავინ უნდა დაიშუროს ის მოთამაშე, რომელიც კი ქართული ფეხბურთის ფლაგმანს გამოადგება, მაგრამ, ჩემი აზრით, ის ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებიც დასაწყის ეტაპზე ვერ მოხვდებიან „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში, ჯობია უფრო დაბალი კატეგორიის გუნდებში გამოიწრთონ, აქაურ ძნელ, მკაცრ ბრძოლებში მიიღონ ის საბრძოლო ნათლობა, რომელიც მათ მერე უმაღლეს ლიგაში გამოადგებათ. ნიჭიერი ფეხბურთელი უქმად არ უნდა მოცდეს, მან უშეღავათო ბრძოლებში უნდა გაიკაფოს გზა მაღალი ოსტატობისაკენ,



ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელები ეწვივნენ სახლს, სადაც დაიბადა ხოშიმინი და სამახსოვრო სურათი გადაიღეს.

მის საბრძოლო ტონუსს და სისტემატურ სპორტულ მზადყოფნას, გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

დაბოლოს, რამდენიმე მოსაზრება იმ საფეხბურთო კავშირის შესახებ, რომელიც უახლოეს დროში უნდა შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, თუ ახლანდელ ფეხბურთის ფედერაციას საფეხბურთო კავშირი დავარქვით, მისი ფუნქციები არ შევცვალეთ და მხოლოდ ამით ამოვწურეთ ჩვენი გარდაქმნის პროგრამა, საქმეს არაფერი ეშველება. საჭიროა რადიკალური მასშტაბის ცვლილებები, ფეხბურთს უკიდურესად პროფესიული, საქმიანი, გონივრული მიდგომა ესაჭიროება, ჩვენ ახლა განვითარების იმ ეტაპს მივაღწიეთ, როცა საუკეთესო საბჭოთა მოთამაშეებს უცხოეთის, პროფესიულ კლუბებში ვაგზავნით კონტრაქტით, მაგრამ ყველა ძლიერი ფეხბურთელი რომ საზღვარგარეთ მიავლინო და შინ ცარიელ-ტარიელი დარჩე, საქმე ამით ვერ მოიგებს. ჩვენს საფეხბურთო კლუბებსაც სჭირდებათ „სისხლის გადასხმა", გამოცდილი პროფესიონალები, რომლებიც ძალების რეალურ ბალანსს არ დაარღვევენ, სჭირდებათ პროფესიონალი სპეციალისტები, რომლებსაც წინასწარ შეუძლიათ განსაზღვრონ დიდი ფეხბურთის რთული ნიუანსები და შესაძლებლობანი.

გარდა ამისა, აუცილებლად საჭიროა საიმედო, მტკიცე, ურყევი ეკონომიკური ბაზა, ოსტატთა ყოველი გუნდი [illegible] და [illegible], რომელიც უზრუნველყოფს რეზერვების [illegible] ამოცანების წარმატებით გადაჭრას, [illegible] მოედნები, საწვრთნელი ბაზები, ბავშვთა გუნდების ფართო ქსელი, სარეაბილიტაციო ცენტრები, სამედიცინო მომსახურება, კვება, დასვენება, ყველაფერი ეს ჩვენს გუნდებს უნდა შევუქმნათ საერთაშორისო პრაქტიკულ გამოცდილებაზე და მყარ ბაზაზე. სავსებით ვეთანხმები ვალერი ლობანოვსკის, რომელიც ნამდვილი პროფესიონალია და იცის, რომ საფეხბურთო ეკონომიკა ბევრ რამეში გადამწყვეტია და განსაზღვრავს თუ რა სირთულეები უძღვის წინ წარმატებას.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ პრესასაც, სადაც საფეხბურთო საკითხებზე უნდა იმსჯელონ სპეციალისტებმა, მწვრთნელებმა, არბიტრებმა და ფეხბურთთან დაახლოებულმა ადამიანებმა. ავტორიტეტული, კომპეტენტური მოსაზრებანი ეხმარება ფეხბურთელებსაც და მწვრთნელებსაც საქმიანობის ნორმალურად წარმართვაში.

ახალ სეზონში ქართული ფეხბურთის წინაშე ურთულესი ამოცანებია დასახული, მათი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ შეთანხმებული, მოფიქრებული და გააზრებული მუშაობით, მხოლოდ ერთმანეთის ხელშეწყობით და დახმარებით. მთელმა ჩვენმა საფეხბურთო ცხოვრებამ, რომელიც სულ პატარა, ნორჩი ფეხბურთელებით იწყება, ყველაფერი უნდა გააკეთოს საქართველოს პირველი გუნდის თბილისის „დინამოს" გასაძლიერებლად და მოწინავე პოზიციებზე დასაბრუნებლად.

## ტელეტაიპი - მკითხველი

**პარიზი.** ინგლისელმა სტაიერმა ტიმ ხატჩინგსმა გაიმარჯვა საერთაშორისო მძლეოსნურ კროსში, რომლის ტრასა 9255 მეტრს შეადგენდა. დისტანცია მან 26 წუთსა და 18 წამში გაიარა. ზუსტად ნახევარი წუთი წააგო გამარჯვებულთან მეორე ადგილზე გასულმა პორტუგალიელმა ჟოზე რეგალომ.

**გენუა.** გაიმართა წყალბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი ადგილობრივ „არენცანოსა" და ბუდაპეშტის „სპარტაკს" შორის. გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს — 9:6 (3:2, 4:1, 2:1, 0:2).

**საკრამენტო** (აშშ). კალიფორნიის შტატის ამ ქალაქში გაიმართა ტრადიციული მარათონი, რომელიც ამერიკელმა რიკ მაკენდლზმა მოიგო — 2:12.44,0. ქალთა შორისაც პირველ ადგილზე 31 წლის ამერიკელი ბარბარა აკოსტამაიერსი გავიდა — 2:42.59,0.

**ინგლვუდი** (აშშ). ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში ამერიკელმა ჯონ მაკინროუმ დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი 7:5 და 6:2. მესამე ადგილი ერგო 16 წლის ამერიკელ მაიკლ ჩანგს, რომელმაც 18 წლის თანამემამულეს ანდრე აგასის აჯობა — 6:3, 6:3.

**ჰონოლულუ.** ტრადიციულ საერთაშორისო მარათონში 10 ათასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა. პირველი ადგილი ვაჟთა შორის იტალიელმა ჯანი პოლიმ დაიკავა (2:12.47), ქალებში უძლიერესი ამერიკელი სინდი ველტე იყო — 2:41.52.

**ვაშინგტონი.** ცურვის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით გულაღმა ცურვაში „წყალქვეშა სტარტის" სიგრძე 35-40 მეტრიდან 10 მეტრამდე შემცირდა.

## „სპორტპროგნოზი"

**50-ე ტირაჟის შედეგები (10-11 დეკემბერი)**

1—X, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—X, 7—1, 8—1, 9—X, 10—2, 11—1, 12—X, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## კუბა ემზადება

როგორც ცნობილია, 1991 წელს თავისუფლების კუნძულზე მორიგი პანამერიკული თამაშები ჩატარდება. მასში 39 ქვეყნის 7 ათასამდე სპორტსმენის მონაწილეობას ვარაუდობენ.

საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი, კუბის განათლების მინისტრი ხოსე რამონი დაუფარავად აცხადებს, რომ ამ თამაშების მიზანია ამერიკის ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცება.

— მიზნად არ ვისახავთ ფულის მოგებას. უფრო დიდ მნიშვნელობას სპორტსმენთა დაახლოებას, მათ კავშირსა და ურთიერთგაგებას ვანიჭებთ, — განაცხადა მინისტრმა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე.

კუბას თამაშების მოწყობა სულ ცოტა 30 მილიონი დოლარი დაუჯდება. ამ თანხის მიღებას ორგანიზატორები ტელერეპორტაჟების უფლების გაყიდვით აპირებენ.

## შვიდსაათიანი ლექცია

პოლონეთში დიდი ინტერესი გამოიწვია ინგლისელი მწვრთნელის პიტერ კოეს ლექციების ციკლმა მძლეოსნობის საკითხებზე. ამ ინტერესს აღვივებდა ის, რომ მომხსენებელი გახლდათ ოლიმპიური ჩემპიონის სებასტიან კოეს მამა.

ლექციებს თან ერთვოდა მრავალრიცხოვანი კინოკადრები და დიაპოზიტივები. პიტერ კოეს ადგილობრივი სპეციალისტები უამრავ შეკითხვას აძლევდნენ. სწორედ ამის გამო მისი ერთ-ერთი ლექცია ვარშავაში 6 საათს გაგრძელდა, კატოვიცეში — ოთხს, ხოლო კრაკოვში 7 საათს.

## იძულებითი პაუზა

წლევანდელი სპორტული სეზონი 23 წლის შვედ პატრიკ შიობერგისთვის ერთობ უხეირო გამოდგა. მან ჯერ მსოფლიოს რეკორდი დაკარგა სიმაღლეზე ხტომაში (კუბელ ხავიერ სოტომაიორის ფანტასტიკური ნახტომის შემდეგ 243 სანტიმეტრზე), მერე კი სეულში მხოლოდ ბრინჯაოს ჯილდო ერგო.

შიობერგს წლეულს ფატალურად თან სდევდა ტრავმები. იგი ახლაც ტრავმირებულია, ოღონდ ხტომის კი არა, ჩოგბურთის თამაშის შედეგად (დაიზიანა ხერხემალი). ექიმების აზრით სპორტსმენის სრულ განკურნებას დაახლოებით 6 თვე დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შიობერგი მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც ევროპის ზამთრის და ვერც მსოფლიოს ჩემპიონატებში.

— ეს იქნება უკეთესიც იყოს, — განაცხადა ამას წინათ სპორტსმენმა. — წლეულს ძალზე გადავიღალე ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. უმჯობესია ალბათ დავისვენო, ხტომა მერე უფრო მომენატრება.

## ლირსეული კანდიდატი

ავსტრალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს მელბურნს 1996 წლის ოლიმპიადის მოწყობისათვის ბრძოლაში. მწვანე კონტინენტის სხვა ორმა ქალაქმა — სიდნეიმ და ბრისბერმა ამასთან დაკავშირებით მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები.

მელბურნი ოლიმპიადას 1956 წელს მასპინძლობდა. ეს ჯერჯერობით ერთადერთი ქალაქია სამხრეთ ნახევარსფეროში, რომელსაც წილად ხვდა ასეთი დიდი პატივი. მელბურნს მშვენიერ სპორტულ ბაზებთან ერთად ოლიმპიური თამაშების ჩატარების გამოცდილება აქვს. მაგრამ, როგორც ავსტრალიის ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელები ამბობენ, მელბურნს ეყოლება საკმაოდ გავლენიანი კონკურენტი საბერძნეთის დედაქალაქ — ათენის სახით, რომელსაც მტკიცედ აქვს განზრახული ოლიმპიური თამაშების 100-წლისთავზე თავის პირმშოს თვითონვე უმასპინძლოს.

## მნიშვნელოვანი განსხვავება

ქალთა შორის „დიდი მუზარადის" ყოფილი მფლობელი ავსტრალიელი მარგარეტ კორტი მაღალ შეფასებას აძლევს დასავლეთგერმანელი ჩოგბურთელის შტეფი გრაფის ოსტატობას. როგორც ცნობილია, კორტმა 18 წლის წინ მოიგო უიმბლდონის ტურნირი, აშშ-სა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატები. მაგრამ მაშინ, კორტის აზრით გამარჯვება უფრო იოლი იყო. დღეს სპორტსმენის ყველაზე დიდი მტერი გულშემატკივარი და საზოგადოებრივი აზრია. ბევრი ჩოგბურთელი სწორედ ფსიქოლოგიურ პრესს ვერ უძლებს და მისი

## კალეიდოსკოპი

მსხვერპლი ხდება. ამაშია, კორტის აზრით, მთავარი განსხვავება მასსა და გრაფს შორის.

მაგრამ ერთი ავსტრალიელი ჟურნალისტი ბოლომდე არ ეთანხმება ვეტერან ჩოგბურთელს. სულ სხვა განსხვავებასაც ვხედავ, განაცხადა მან, 1970 წელს „დიდი მუზარადის" მოგებამ კორტს 7500 დოლარი მოუტანა. გრაფმა კი ანალოგიური წარმატებისთვის წლეულს 275 ათასი დოლარი მიიღო. ჟურნალისტის აზრით ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

## ახალი რეკომენდაციები

პრაღაში ჩატარდა უეფა-ს მსაჯთა, ტექნიკური და სამედიცინო კომისიების სიმპოზიუმი, რომელმაც არბიტრებისთვის ახალი რეკომენდაციები გამოიმუშავა.

მსაჯებმა ამიერიდან მეტი მომთხოვნელობა უნდა გამოიჩინონ სიმულიანტ-მოთამაშეთა მიმართ. განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს ის მოთამაშე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში კოტრიალობს გაზონზე, მერე კი სწრაფად წამოდგება და აგრძელებს ფეხბურთის თამაშს. დროის გაყვანის მიზნით სიმულაცია, ახალი რეკომენდაციის თანახმად, წითელი ბარათით უნდა დაისაჯოს.

## რეკორდები გაუქმებულია

მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ ნაირობის აუზი, რომელშიც 1987 წელს აფრიკის თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოცურავეთა ტურნირი გაიმართა არ შეეფარდებოდა სტანდარტულ ზომებს და ოდნავ უფრო მოკლე იყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აუზის საპროექტო ხარჯთაღრიცხვა 3,72 მილიონ დოლარს გულისხმობდა, მშენებლობის დამთავრებისთვის კი მან ხუთ მილიონს მიაღწია.

მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ 50-მეტრიანი აუზი სტანდარტულზე უფრო მოკლე გამოდგა. ამის გამო აქ დამყარებული ყველა რეკორდი გაუქმდა. აუზი ამოღებულია საერთაშორისო შეჯიბრებების ნომენკლატურიდან.

## ინფორმაცია

**მოსკოვი.** ფრენბურთელთა ევროპის საკლუბო თასებისათვის ექვსივე საბჭოთა გუნდი იბრძვის. ესენია: ცსკა, მოსკოვის ოლქის „დინამო" და ლენინგრადის „ავტომობილისტი" (ვაჟები), ცსკა, ალმა-ათის ადკ და სვერდლოვსკის „ურალოჩკა" (ქალები).

**სვერდლოვსკი.** ადგილობრივი „ურალოჩკას" ფრენბურთელებმა ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში უნგრეთის გუნდი „ტუნგსრამი" დაამარცხეს — 3:0 (15:11, 15:3, 15:6).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.




თბილისის სპორტის სასახლე

17-21 დეკემბერი

სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში



მონაწილეობენ ევროპის, აზიის, აფრიკის, ორივე ამერიკის უძლიერესი სტუდენტი ძიუდოისტები.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა იწარმოებს 14 დეკემბრიდან სპორტის სასახლის სალაროებში 11-დან 19 საათამდე.

მიიღება განცხადებები კოლექტიურ დასწრებაზეც.



**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93.97.55, სამდივნო — 93.97.52, ინფორმაციის განყოფილება — 93.97.53, „მერანი" — 93.97.26, „მართვე" — 93.97.27.

**ჩვენი ინდექსი** 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10884